ხობის მოამბე

№11 (7002) 30 ივნისი, კვირა, 2013 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

27 ივნისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა.

სხდომას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი კახაბერ ბენიძე და გამგეობის წარმომადგენლები.

დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი იყო 11 საკითხი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 მარტის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

4. ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების" რეგისტრაციის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ა. სართანია - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ).

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ა. სართანია - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ).

7. „ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე განთავსებული ობიექტების ნუმერაციის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

8. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

11. „საწვავისა და ფიჭური სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ბ. ჯიქია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).

წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, საკრებულო მუშაობას შეუდგა.

სხდომაზე პირველ საკითხად განხილულიქნა საკრებულოს აპარატში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი, სადაც არსებული სამი განყოფილების ხარჯზე იქმნება 2 სტრუქტურული ერთეული-იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება. კენჭისყრის შედეგად ცვლილებები ერთხმადიქნა მიღებული.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკრებულოს აპარატის და გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დამტკიცებული პროექტის წესებში არსებული უზუსტობის ჩასწორებას.

საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ „ფორდ ექსფლოურერის" აუქციონის წესით გაყიდვას.

სხდომაზე ცნობის სახით იქნა მიღებული ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების" რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულიქნა საკრებულოს წევრი ლაშა ცატავა.

საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის გადაწყვეტილებით, ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთს" საცურაო აუზის I სართულის 333 კვ/მ არასაცხოვრებული ფართი გადაეცა დროებით სარგებლობაში უზურფრუქტის წესით.

გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე განთავსებული ობიექტების ნუმერაციის შესახებ". ახალსოფლის თემში ხორციელდება არსებული ქუჩებისა და მათზე განთავსებული ობიექტების აღრიცხვა, ნუმერაცია.

ამავე სხდომაზე კომისიების შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილების თანახმად საკრებულოს წევრი ბორის ბერაია გადმოყვანილიქნა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობიდან და გოჩა ქაჯაიასთან ერთად შევიდა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის შემადგენლობაში, ხოლო გოჩა ქაჯაია ასევე შეყვანილიქნა საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში.

ამ საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

პეტრე-პავლობის მარხვა დაიწყო

დღეიდან პეტრე-პავლობის მარხვა დაიწყო, რომელიც 12 ივლისამდე, პეტრე-პავლობის დღესასწაულამდე გაგრძელდება. საეკლესიო გადმოცემით, პეტრე-პავლობის მარხვა ჯერ კიდევ მოციქულებს დაუწესებიათ. წმინდა მოციქულები პეტრე და პავლე სხვა მოციქულთა შორის თავიანთი მოციქულებრივი და მოწამებრივი ღვაწლით გამორჩეულნი არიან, ამიტომ ეკლესია მათ იხსენიებს, როგორც „თავთა მოციქულთა". ისინი, ერთდროულად, იმპერატორ ნერონის დროს, 67 წელს აღესრულნენ. წმინდა პეტრე მოციქული თავდაყირა გააკრეს ჯვარზე, ხოლო წმინდა პავლე მოციქულს თავი მოჰკვეთეს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია II ლოცვა-კურთხევით პეტრე-პავლობის წმ. მარხვა ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა თევზით ხსნილია.

ევროპის თასის გათამაშებაში დიანა ლომაიამ I ადგილი დაიკავა



ურეკში დასრულდა ევროპის თასის გათამაშება 12, 10 და 8 წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელშიც 12 ქვეყნის 300-მდე მოჭადრაკე ასპარეზობდა. სამეგრელოს რეგიონიდან ტურნირში 24 მოჭადრაკე მონაწილეობდა. 8 წლის გოგონათა შორის ბრწყინვალედ იასპარეზა ხობელმა დიანა ლომაიამ, მან 9 შესაძლებლობიდან 9 ქულით I ადგილი დაიკავა და ევროპის თასის მფლობელი გახდა. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი მედლების რაოდენობით ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოს სხვა რეგიონებს შორის. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ულოცავს გამარჯვებას პატარა მოჭადრაკეს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

„ერთად ვაშენოთ ქვეყნის მომავალი, ჩვენმა შვილებმა რომ უკეთ იცხოვრონ"

>>>>>>>>>>> 3

„დედაენა"

„ქართული ენაშია ჩვენი ქართველობა"

>>>>>>>>>>> 4-5

წარმატების ფორმულა ფერმერთათვის

იმედია, პროექტი გაამართლებს

>>>>>>>>>>> 6

შეხვედრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დასმული საკითხის– პროფესიული სწავლების ცენტრის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემასთან დაკავშირებით 24 ივნისს მუნიციპალიტეტს სტუმრობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური კომისია თამარ ტაბიძის ხელმძღვანელობით. სამუშაო შეხვედრები გაიმართა მუნიციპალიტეტისა და სასწავლებლის ხელმძღვანელ პირებთან. კომისიის წევრებმა დაათვალიერეს პროფესიული სწავლების ცენტრი, ადგილზე გაეცნენ სწავლების პროცესის მიმდინარეობას.

თამარ ტაბიძის განმარტებით: „ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან წარმოდგენილი წინადადებებისა და სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე, კომისია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს შესაბამის დასკვნას პროფესიული სწავლების ცენტრის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის მიზანშეწონილობის თაობაზე“.

შეხვედრის დასასრულს კომისიის წევრებმა პარტნიორობისა და მომავალში ურთიერთანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ფინალი თბილისში გაიმართა

უკვე მერამდენე წელია საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით (ხელმძღვანელი მეუფე სტეფანე კალაიჯიშვილი) საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი ატარებს კონკურსს „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“, რომელიც ტარდება სასკოლო, რაიონულ, რეგიონულ და ფინალურ ეტაპებად. ხობის მუნიციპალიტეტის სკოლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ კონკურსში. მათ შორის წარმატებით იასპარეზა ხობის N2 საჯარო სკოლის გუნდმა „იერუსალიმმა“ (ცოტნე გუჩუა–გუნდის კაპიტანი, ნიკა ჯგერენაია, ვაჟა შელია, ოთარ პაპავა, მარიამ ლომაია, ნინო ბუბუტეიშვილი, ვიკა სახურია). ისინი არაერთხელ გავიდნენ რეგიონულ და ნახევარფინალურ ტურში. წელს კი ამ გუნდმა რეგიონულ კონკურსში დაამარცხა წალენჯიხის გუნდი და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. კონკურსის ფინალი გაიმართა თბილისში წმინდა სამების ტაძარში. მასში მონაწილეობდა შვიდი მუნიციპალიტეტის გუნდი. ხობის N2 საჯარო სკოლის გუნდმა დამაჯერებლად იასპარეზა და გადავიდა მეორე ტურში. საბოლოოდ კი მეოთხე ადგილზე გავიდა. ყველა ფინალისტი დაჯილდოვდა საპატიო სიგელით, გუნდები ასევე დაჯილდოვდნენ წმინდა ადგილების მოლოცვის დაფინანსებით საპატრიარქოს მიერ.

პრემიერა „ბუ და პატარა ობობა“

27 ივნისს, ქ. ხობში კულტურის სახლის დარბაზში კულტურის ცენტრთან არსებულმა ბავშვთა თეატრალურმა დასმა, თამაზ მეტრეველის ნაწარმოების მიხედვით, პრემიერა „ბუ და პატარა ობობა“ წარუდგინა მაყურებელს. პიესა ერთ მოქმედებად და სამ სურათად დაიდგა. სპექტაკლზე მუშაობდნენ მარინე ჯღარკავა (დამდგმელი რეჟისორი), ემილ გეგენავა (მხატვარი), მანანა შამათავა (ტექ. რეჟისორი), კობა გერგაია (ქორეოგრაფი). მოქმედნი პირები, შემსრულებელები, ნორჩი მსახიობები: ინგა სიორდია (ობობა), ლუკა ლოლუა (ბუ), ლიკა გვასალია (ქარი), ელენე გერგაია (სეტყვა), ლუკა სიჭინავა (შიში), გიორგი არჩაია (დამბლა), თემურ სირაძე (შური), ილონა ცაგურია (გოგონა) და ქრისტინა გვასალია (საშიშ ლანდებთან). პრემიერას, მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა, გამგებელი კახაბერ ბენიძე და საკრებულოსა და გამგეობის სხვა წარმომადგენლები. პრემიერამ დიდი მოწონება დაიმსახურა, რასაც მაყურებლის ოვაციები მოყვა. განმეორებით სპექტაკლი 28 ივნისს 17:00 საათზე გაიმართა.

www.khobi.ge
ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

„საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ შეიცვლება“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ შეიცვლება.

ამის შესახებ პრემიერმა, ბათუმში, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ივანიშვილმა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს სწრაფვაზე გაამახვილა ყურადღება.

„ჩვენმა ქვეყანამ ათი წლის წინ გააკეთა ერთმნიშვნელოვანი არჩევანი. ეს პოლიტიკური არჩევანი ევროატლანტიკური სივრცეა. ეს არჩევანი გულისხმობს თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო თანამეგობრობის წევრობას. ეს არჩევანი არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ შეიცვლება იმიტომ, რომ ასე გადაწყვიტა ქართველმა ხალხმა“, - განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ზოგადად, უსაფრთხოების მნიშვნელობასა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს წვლილზეც ისაუბრა.

„ჩვენ შეგვაქვს ჩვენი წვლილი როგორც ავღანეთში მშვიდობის დამყარების საქმეში, ისე საერთაშორისო ტერორიზმისა და სხვა ტრანსნაციონალური საფრთხეების თავიდან აცილებაში. როდესაც ჩვენი ჯარისკაცები ავღანეთის მიწაზე თავგანწირვით იბრძვიან, ისინი საკუთარი სამშობლოს, საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, ჩვენი მომავლისთვის და მსოფლიოში მშვიდობისათვის სწირავენ თავს“, - განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, მაღალჩინოსნების დაკავებისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები დაცული იყო.

„კანონი იქნება მკაცრი ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ხელისუფლებაში ყოფნისას სახელმწიფო სახსრები მიითვისა“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, „კანონი იქნება მკაცრი ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ხელისუფლებაში ყოფნისას სახელმწიფო სახსრები მიითვისა“.

ამის შესახებ ხადურმა თბილისის მერიის მაღალჩინოსნების დაკავების კომენტირებისას განაცხადა.

„კანონი იქნება მკაცრი ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს სახელმწიფო სახსრები მიითვისა. მიმდინარეობს გამოძიება და მინდა გითხრათ, რომ ის იქნება ძალიან გამჭვირვალე და ობიექტური. არც ერთი თანამდებობა, არც ყოფილი, არც ახლანდელი და არც მომავალი არ არის იმუნიტეტი იმისა, წარსულში რომ ვიღაცამ დანაშაული ჩაიდინა, პასუხი არ აგოს“, - განაცხადა ნოდარ ხადურმა.

„გადაწყვეტილება–უნდა იმსახურონ თუ არა ქართველებმა ავღანეთის მისიაში, თავად საქართველოს მისაღებია“



ნატო-ს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების სარდალი, გენერალი ჯოზეფ დანდორფის განცხადებით, „ნიუ-იორკ თაიმსში“ ქართველი სამხედროების შესახებ გამოქვეყნებული სტატია შეურაცხმყოფელია არა მარტო ქართველებისთვის, არამედ ISAF-ის მთელი მისიისთვის“.

ამის შესახებ დანდორფმა ბათუმში მიმდინარე თავდაცვისა და უშიშროების კონფერენციაზე განაცხადა და დასძინა, რომ ეს სტატია სიმართლეს არ შეესაბამება.

ამასთან დანდორფი ფორუმის მონაწილეებს ავღანეთში საერთაშორისო მისიის მნიშვნელობაზე ესაუბრა. გენერალმა განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობას და ქართველი ჯარისკაცების პროფესიონალიზმს.

„გადაწყვეტილება-უნდა იმსახურონ თუ არა ქართველებმა ავღანეთის მისიაში, თავად საქართველოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებაა. მე როგორც ISAF-ის სარდალი ქართველების ყოფნას მივესალმები, მათ შორის, 2014 წლის შემდეგაც, ვინაიდან ეს არის კონტიგენტი, რომელიც გამოირჩევა პროფესიონალიზმით და მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ავღანეთის სტაბილურობის უზრუნველყოფაში“, - განაცხადა დანდორფმა.

ცნობისთვის, თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის მეორე დღე სწორედ ამ საკითხებს დაეთმო. დღის მეორე ნახევარში კი კონფერენციის მონაწილეები, ზოგადად, ევროპული პარტნიორობისა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების საკითხებზე, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საკითხებზე ისაუბრებენ.

ახალი კადრები

ხობის სტუმარი გახლავთ. მუნიციპალიტეტის რწმუნებული საჯიჯაოს თემში ბატონი ავთანდილ კვარაცხელია.

„ერთად ვაშენოთ ქვეყნის მომავალი, ჩვენმა შვილებმა რომ უკეთ იცხოვრონ“

პირველი და ძალზე ტრადიციული კითხვით მოგმართავთ, ვინ არის ავთანდილ კვარაცხელია?

–ერთი, სულით ხორცამდე ქართველი, სამშობლოზე და თავის ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული, მინდობილი საქმისადმი ერთგული კაცი.

ცნობისათვის: დავიბადე საჯიჯაოში 1957 წელს. სკოლის შემდეგ დავამთავრე ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომექანიკის ფაკულტეტი. ვიმუშავე სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის–სენაკის მექანიკურ ქარხანაში უფროს ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე, ნოჯიხევის ჩაის ფაბრიკაში მთავარ მექანიკოსად, შ.პ.ს. „ავერსი ფარმაში“ მშენებლობის დარგში საქმის მწარმოებლად, შ.პ.ს. ხობის შარაგზა-მშენში მთავარ ინჟინრად, ქ. თბილისში შ.პ.ს. გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის სამსახურში ტექნიკურ ზედამხედველად...

მყავს მეუღლე–მანანა შამანაძე (პედაგოგი) და ორი ვაჟიშვილი–გიორგი და ირაკლი.

2013 წლის დეკემბრიდან ვარ საჯიჯაოს თემის რწმუნებული.

თქვენ ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებული ბრძანდებით საჯიჯაოს თემში. ამ თანამდებობაზე დანიშვნას მოელოდით?

–მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში ჩემთვის სანატრელი და საოცნებო მთავრობა მოვიდა, ამასთან, თანასოფლელებისგანაც დიდ მხარდაჭერასა და თანადგომას ვგრძნობდი, თემის რწმუნებულად დანიშვნის მოლოდინი არ მქონია. ჩემთვის ეს სასიამოვნო მოულოდნელობა და ამავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობა იყო.

ავთანდილ, თქვენი თანამდებობა ძალიან კომპეტენტური და საპასუხისმგებლოა, რომელიც აქტიურობას, წინდახედულებას, საქმის ცოდნასა და ძირითადად, ხალხთან მჭიდრო ურთიერთობას მოითხოვს. თქვენ, როგორც ამ საქმეში გამოუცდელს, ხომ არ გაგძნელებიათ ამ ამპლუაში ახალ საქმეებთან შეჭიდება. როგორ გგონიათ, ყველაფერი გამოგივათ?

–გარეგნულად შეიძლება არ ვტოვებ აქტიური ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ ბუნებით საკმაოდ აქტიური ადამიანი ვარ. რაც მახსოვრობა მაქვს, მუდმივად ძიებაში ვარ, ვეძებ ახალ და საინტერესო საქმეებს. დიდი ხნის მუშაობის სტაჟი გამაჩნია. მიმუშავნია სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამსახურში. მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა და მათზე ზრუნვა, ვარ პრინციპული, საქმის ერთგული, რამდენიმე რაციონალური წინადადების ავტორი. ყოველთვის ვოცნებობდი საშუალება მომცემოდა, ჩემი ცოდნა და გამოცდილება ჩემი მუნიციპალიტეტისა და თემისათვის მიმეძღვნა. ამის საშუალება მხოლოდ დღევანდელმა ხელისუფლებამ მომცა, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდები დაკისრებულ მოვალეობას და ვცდილობ, გავამართლო მათი და თანასოფლელების ნდობა.

როგორ დაიწყო თქვენი, როგორც თემის ხელმძღვანელის პირველი დღე?

–სამსახურში გამოცხადების პირველი დღიდან ვცდილობ, კარდაკარ შემოვიარო საჯიჯაოს თემში მცხოვრები თითოეული თანასოფლელის ოჯახი, გავეცნო მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად დავეხმარო. ეს ჩემი მოვალეობაცაა და ადამიანური სურვილიც.

ყველა საქმეს განვითარება სჭირდება, ბრძოლას–გაგრძელება. თქვენ როგორ და რისთვის იბრძოლებთ, უპირველესად რას განავითარებთ?

–ამ ხელისუფლების ღრმად მწამს და მჯერა. დარწმუნებული ვარ, რომ მათთვის პრიორიტეტი ქვეყნის აღმშენებლობაში კეთილსინდისიერება, პროფესიონალი ადამიანების ჩართვა იქნება და არა პარტიული ნიშნით ხალხის დაყოფა. ვიბრძოლებ და ამ პრინციპებს განვავითარებ. ყველაფერს გავაკეთებ მოსახლეობის პრობლემების გადაჭრისთვის. კონკრეტული გეგმები გამაჩნია სოფლის პროგრამის განვითარებისა და ხალხის დასაქმებისათვის.

საკმაო დრომ განვლო, რაც რწმუნებულის სტატუსით მუშაობთ. რთულია სოფლის წინამძღოლად ყოფნა, გაგიძნელდათ?

–საჯიჯაო საკმაოდ დიდი და მარავალრიცხოვანი თემია. ადამიანს თუ პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია, ნებისმიერი საქმე რთულია, სოფლის წინამძღოლობა კი მით უფრო საპასუხისმგებლოა. სიძნელეებს ხალხთან ერთად დავძლევ.

როგორ ვითარდება თქვენს თემში აუცილებელი საქმეების გადაწყვეტა. ვინ არიან ისინი, ვისთანაც იღწვით საერთო საქმისათვის. ეს ადამიანებიც თქვენთან ერთად მოვიდნენ, თუ იქ დაგხვდნენ? როგორი ურთიერთობები ჩამოგიყალიბდათ. ხალხთან ახლოს ყოფნისათვის, მათი თანადგომისათვის რა გეგმებს სახავთ?

–თემში ბევრი საქმეა მოსაგვარებელი, რაც ხალხის კეთილდღეობას გულისხმობს. ყველა აუცილებელი და გადასაწყვეტი საქმის მოგვარება სპეციასლისტებთან ერთობლივი კონსულტაციებით ხდება. საკრებულოში ჩემთან ერთად ოთხი სპეციალისტი მუშაობს. აქედან ორი ჩემთან ერთად მოვიდა. დანარჩენები აქ დამხვდნენ. ჩვენ, ყველას ერთი საქმე გვაერთიანებს და ერთი სურვილი გვაქვს–სოფელი წინ წავიდეს და ხალხმა შვება იგრძნოს. საქმე თუ როგორ წავა, მომავალი გვიჩვენებს.

საჯიჯაო დიდი და ვრცელი თემია, მასში ოთხი სოფელი შედის, ასე, რომ ბევრი საქმე გვაქვს. დღეს ყველაზე აქტუალური ხალხზე ზრუნვაა, რაც სოფლის მეურნეობის აღორძინებითა და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით დაიწყო ახალმა ხელისუფლებამ–„კოალიცია ქართულმა ოცნებამ“.

სოფელში როგორ ჩათავდა ხვნათესვის სამუშაოები. თუ მოგვარდა ყველა ის პრობლემა, რაც სასოფლ-სამეურნეო ბარათებსა და მის დარიგებას მოჰყვა. ყველა ოჯახი ხომ ჩაერთო ამ დიდ კამპანიაში. თესვა საბოლოოდ დამთავრდა?

–ახალმა ხელისუფლებამ ჯერ არნახული და ძალიან აქტუალური საქმე ითავა და ხალხის მადლიერება დაიმსახურა. მათ მოსვლას პრობლემების მოგვარებისათვის ზრუნვა მოჰყვა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის ბრძოლამ, ხალხის აღფრთოვანება გამოიწვია. სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებით ხალხს მოეხსნა ყველაზე უდიდესი პრობლემა–ნიადაგის მოხვნა, დადისკვა და დაფარცხვა საჯიჯაოში უანგაროდ მოიხნა და დასათესად გამზადდა 842 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, გაკეთდა ის საქმე, რასაც წლების განმავლობაში გლეხი ძლივს ახერხებდა, ზოგს კი დაუმუშავებელი ფართობები რჩებოდა. სოფელში სულ 945 ცალი ნომინალური ბარათი დარიგდა, რითაც გლეხმა მოიმარაგა სასუქი და ბევრმა საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარიც შეიძინა. ხალხი კმაყოფილია და მომავალსაც იმედით შეჰყურებს. მართალია, იყო უზუსტობანი, რასაც გლეხკაცი გაგებით მოეკიდა, მაგრამ ყველაფერი გასწორებულია და მოგვარებული. ხალხი კმაყოფილებას ვერ მალავს.

რას გვეტყვით სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე, მის ახალ პროექტებზე. რას ითვალისწინებს ის და რომელ უბანს შეეხება პროექტში გათვალისწინებული საკითხები, მასში არის თუ არა მშრომელთა სურვილები გათვლილი?

–„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ წელს ისევ ამოქმედდა. მის განსახორციელებლად ამ პროგრამაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მიერ ჩვენი სოფლისათვის გათვალისწინებულია 78 ათასი ლარი. სოფლის მოსახლეობასთან ერთად გადავწყვიტეთ აღნიშნული თანხით გარემონტდეს საჯიჯაოს კულტურის სახლი. აგრეთვე გაღმა საჯიჯაოში აშენდეს მოსაცდელი. შემოიღობოს სოფელში მშენებარე ეკლესიის ეზო. გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგრამ ამჯერად რაც გაკეთდება, ყველაზე აქტუალურია. რაც მთავარია, აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებაში ადგილობრივი მოსახლეობა დაკავდება. თუ დავფიქრდებით, ეს კიდევ ერთი სამუშაო ადგილია, შემოსავალს კიდევ ერთი ოჯახი მიიღებს.

და ბოლოს, რა უნდა უთხრათ ხალხს, რას ითხოვთ მისგან და რა უნდა გააკეთოთ მათთვის. სოფელი და მისი ხელმძღვანელები რას მოითხოვთ მუნიციპალიტეტის მესვეურთაგან და რას მოელით მათგან?

–ჩემო თანასოფლელებო, საჯიჯაოელებო! მადლობა უფალს, რომ საშუალება მომეცა თქვენთან ერთად მემუშავა და თქვენზე მეზრუნვა, უფრო ახლოს გაგვეცნო ერთმანეთი. მინდა ერთი სიხარული და ტკივილი გვქონდეს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენთან მოვიტანო ყველა სიახლე, დახმარება, შემწეობა და ის, რაც გამოიყოფა ქვეყნის ხელმძღვანელებისაგან, კერძოდ, საქართველოს ახალი ხელისუფლების მესვეურთაგან და ხობის მუნიციპალიტეტიდან.

თქვენს მხარდაჭერასა და ერთად დგომას ვითხოვ. ვაკეთოთ ერთი საქმე, რათა გავძლიერდეთ და უკეთეს მომავალს დაველოდოთ. იმედია, ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ყურადღებას არ დაგვაკლებენ.

გჯეროდეთ, ერთად ავაშენებთ ქვეყნის მომავალს, რათა ჩვენმა შვილებმა უკეთ იცხოვრონ.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

„დ ე დ ა ე ნ ა"

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

„ქართული ენა ჩვენი ქართველობა"

,,ენა–ეს არის გონებისა და აზრის ძირითადი სასიცოცხლო წყარო ,,რა ენა წახდეს, ერი დაეცეს". მას დიდი მოვლა უნდა და იგი არ ნიშნავს მხოლოდ გრამატიკულ წეს-კანონებზე ზრუნვას, ენას აზრი აღრმავებს, გრძნობების სინატიფე ანათლებს. კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა ,,ქართული ალფაბეტი, ჩემთვის ჯერაც გამოუცნობი სფინქსია"-ო.

საუკუნეებს რომ გავხედოთ, ქართული ენა საქართველოს მიწა-წყალივით რბევის ველად წარმოგვიდგება, ვერც ბიზანტიურმა ალერსმა ვერ შეაცვლევინა ჩვენს ერს თავისი ხასიათი. მას ატყვია ყველა ის ნაიარევი, რაც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა, ამიტომაც სჭირდება მას მოვლა-პატრონობა, განკურნება.

რუბრიკის გამოშვებიდან თითქმის ორი თვე გავიდა და დავრწმუნდი, თუ როგორი აქტუალური ყოფილა ეს თემა საზოგადოებისათვის, მისი ჯანსაღი ნაწილისთვის, ამაში დაგვარწმუნა იმ აურაცხელმა გამოხმაურებამ, რომელიც ჩვენ მივიღეთ ენის სიწმინდესთან დაკავშირებით.

ჩვენც მივყევით შეხმიანებებს და სასაუბროდ მივმართეთ მათ, ვინც პირველები შეეხმიანა ზემოთ აღიშნულ რუბრიკას.

რუბრიკის სტუმარია ქალბატონი როზეტა შულაია, რომელიც ქართული ენის სამსახურში დგას და რომელსაც ქართული ენის სრულყოფილად ფუნქციონირება სასიცოცხლო საქმედ მიაჩნია, ვისაც ქართული ენის საშუალებით თართო შემოქმედებითი ასპარეზი ეშლება, ვისთვისაც „მშობლიური" ქართული ენა საიმედო საყრდენია, გზის მაჩვენებელი და მისი გამჯვალავი, რომლისთვისაც ქართული „მხოლოდ ენა როდია".

ქართული ენა ღვთისაგან ნაბოძები სასწაულია

თქვენ პირველი იყავით, რომელმაც ვრცელი კომენტარი მიუძღვნა ჩვენს რუბრიკას. გთხოვთ, კიდევ ერთხელ გვითხრათ ამ რუბრიკის მნიშვნელობის შესახებ.

–დღეს, როცა ელექტრონულმა მედიამ, სოციალურმა ქსელებმა ფაქტიურად „წაჰგვარა" მკითხველი ბეჭდურ მედიას, „ხობის მოამბე" ჩემთვის ხობის განუყოფელი ნაწილია და აქ, სტრიქონებს შორის, სქოლიოთა მიღმა, ინტერვიუებში, ახალ ამბებში მოამბეობს და ცხოვრობს ხობი. გაზეთი, რომელშიც ეს ინტერვიუ იბეჭდება, ჩემთვის მხოლოდ გაზეთი არ არის, რომელსაც მიიღებ და უნდა გადაათვალიერო. მისი ყოველი მიღებისას, როგორც მკითხველი, ვეძებ სხვა მკითხველს, როგორც ხობელი–მეორე ხობელს, უპირველესად მადლობას მოგახსენებთ, რომ გაზეთს ტრადიციულობას არ უკარგავთ. 80-იან წლებში მე მისი ნორჩი კორესპონდენტი მერქვა და შეიძლება ამიტომაც ის ერთ ჩვეულებრივ გაზეთზე მეტია ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, რომელსაც მართლაც და უნიჭიერესი ხობელები ქმნიდნენ და ქმნიან. ამიტომაც განსაკუთრებით გამიხარდა ამ სახის რუბრიკის გამოჩენა, მით უფრო რომ რუბრიკის პირველ სტუმრად ჩვენი პირველი მასწავლებელი მზისადარ გელანტია ვიხილე, რომელიც ყველა ჩვენგანისათვის მასწავლებლობის ეტალონადაა ქცეული. შესაბამისად ემოციაც უგულწრფელესი გახლდათ.

რაც შეეხება რუბრიკის მნიშვნელობას, რა უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი სახელდება - ვიდრე დედაენაა, რომელიც თავად მიგვანიშნებს მის დიდებულ დანიშნულებასა და რუბრიკის არსს.

ვფიქრობ, რუბრიკა უმასპინძლებს ყველა ასაკის მკითხველს ენასთან დაკავშირებულ მოსაზრებების, გამოცდილების, შემოქმედებითი დამოკიდებულები, ძიების, სიახლეების გათვალისწინებით.

რას ნიშნავს თქვენთვის მშობლიური (ქართული) ენა, როგორ დაახასიათებდით მას?

–იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი"–ყოველივესა და ყოვლისმიერს მოიცავს, რაც რამ შეიძლება ეთქვა ქართველს ქართულ ენაზე, როგორც მშობლიურის და ღვთიურ განსაზღვრებასა და განსხვეულებაზე. მრავლისგან, მრავალგზის, მრავლისთვის დასმულა ეს კითხვა, მრავალს ამოუთქვამს მისი დიდება და ჩვენ მიგვიღია ყოველი მათგანი, როგორც ქართველის უსაზღვრო სიყვარული ქართულისადმი. ენა ქართული, თავადაა საგალობელი, რომლის გამორჩეულობა უნდა გწამდეს, რომ შენში შემოიჭრას და განტოტდეს, იცხოვრო მასთან ერთად და შექმნა მისით შენი ფიქრები, აზრები და იმდენად კეთილშობილია მისი არსი, ხშირად მითქვამს, კარგი მოქართულე არ შეიძლება იყოს ცუდი ქართველი, იმდენად მძლავრია მადლი ენისა. მიყვარს თავანკარა ქართულის მესაკუთრე ქართველი და თბილ ურთიერთობებსაც ამ კრიტერიუმით ძალიან სწრაფად ვაგებ, რადგან ჩემთვის სასურველ ერთობას ვგრძნობ- ეს პიროვნებაში გამჯდარი მშობლიური ენის კულტურაა, რომელიც კონკრეტულ ადამიანს ჩემთვის ზეაღმატებულად ახასიათებს. ენობრივი სიწმინდიდან და სწორედ ენის სალაროდან გადმოედინება ის შეუდარებელი მუსიკალობა და ჟღერადობა, გამორჩეულობა და განსაკუთრებულობა, რაც ასე გამოკვეთილია ქართულ ფოლკლორში, პროზაში, პოეზიაში. თვით ანბანი ჩვენი ღვთიურთან წილხვედრია, რადგან ყოველი ასო–სიმბოლოა ადამიანთა მიწიერი ცხოვრებისა თუ ზეციური მისწრაფებისა. სწორედ ანიდან–ჰოემდე ჩასახლებულა მთელი სამყარო ქართულ ანბანში, ანიდან–ჰოემდე იძლევა უსასრულო შესაძლებლობას შემეცნების. ესაა ენა ლოცვის, ენა სიმღერის, ენა სიბრძნის.

ამიტომაც ვართ გამორჩეული კულტურის მატარებელი ერი, როცა დედაენაზე ვსაუბრობ, გამოკვეთილად მინდა აღვნიშნო, რომ ქართული დამწერლობა ერთგვარი საწყისია და იმ გამორჩეული კვეთილობისა, ჩუქურთმებად რომ ევლებიან ქართულ ეკლესია- მონასტერთა კედლებს, აბსიდებს, ფრონტონებს და რომლებიც აღაფრთოვანებენ მნახველთ. მაქვს ბედნიერება ვეკონტაქტო უნიჭიერეს ადამიანებს, რომლებიც დღესაც იკვლევენ ქართული ჩუქურთმის ბუნებრივ არსს, ჰერალდიკის ნიმუშებს უძველესი დროისას, უპირველესი ამოსავალი–ასოთა მოხაზულობის წრიული განმეორებაა, რომლებიც საოცარ გამას ქმნიან. როგორი ზუსტია ამ დროს კონსტანტინესეული ქება ქართული ანბანისა, ქაფიანიძის საოცარი კვლევა ასომთავრულისა შუმერულ დამწერლობაში რომ ეძებს მშობლიურის პირველსახეს, კოსმოსში გაშვებული ,,ჩაკრულოს" უნიკალურობა... განსაკუთრებულად მინდა გამოვკვეთო ის ფაქტი, რომ იაკობ გოგებაშვილის ,,დედაენა" წელს აღიარებულიქნა საქართველოს არამატერიალურ კულტურულ ძეგლად, რაც ალბათ წლების წინ უნდა მომხდარიყო მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო.

საიდან მოდის თქვენში ქართული ენის სიყვარული, რომელ ფაქტორს მიანიჭებდით უპირატესობას, ოჯახს, სკოლას თუ საზოგადოებას?

–მშობლიური ენის სიყვარული საერთოდ, ბავშვობიდან ყალიბდება. ჩემს შემთხვევაშიც ასეა. ჩემი ბავშვობა სკოლამდე და სკოლის მერეც პირთამდე იყო სავსე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაზე და საერთოდ განათლებაზე მორუდუნე ადამიანებით, რამაც ჩემი პროფესიის არჩევაშიც უდიდესი როლი შეასრულა. თქვენის ნებართვით, მინდა უთბილესად მოვიგონო ბებია, რომელიც მრავალი თაობის აღმზრდელი გახლდათ და საოცარი სითბოთი მიხსნიდა, რა განძის მფლობელნიც ვიყავით... მადლობელი ვარ მშობლების, რომლებიც მაქსიმალურად ზრდიდნენ და ავითარებდნენ ჩემში ამ სიყვარულს... თუმცა ახლა ღიმილით მეუბნებიან, შენ ასე შეყვარებული დაიბადე გვგონიაო, მაგრამ ეს ასე არაა... უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს სკოლას და საზოგადოებას. მარტო დარჩენილი მშობელი, ვერანაირად ვერ გააღვივებს ბავშვის ნიჭს, თუ მის გვერდით არ დგას მასწავლებელი და საზოგადოების წარმმართველი ძალა, არ წარმოადგენს სწორედ აუცილებელი ღირებულების მატარებელს. მასწავლებელი მხოლოდ მიმმართველი კი არა შემქნელ- გამომკვეთია იმ ნიშან- თვისებათა, რაც სჭირდება ბავშვის სულს მშობლიურ ენასთან არა მხოლოდ დაახლოებლად. მასწავლებელმა უნდა შესძლოს მისი დავანება მოსწავლის სულში. მასწავლებელმა უნდა შესძლოს მოსწავლის აღფრთოვანება... მზისადარ მასწავლებელს, შემდეგ ქალბატონ ეთერ ესაკიას ეს საოცარი უნარი ჰქონდათ და ასეთებად მივყავდით საზოგადოებასთან. აქ, ამ რედაქციის კედლებში მრავალი თაობის წარმომადგენელი დაფრთიანდა მომავალ შემოქმედად, კარგ მკითხველად, ლიტერატორად, ჟურნალისტად, რადგან მიუხედავად კომუნისტური მმართველობის პარტიული მიმართულებისა და იდეოლოგიისა, გაზეთის რედაქცია მაქსიმალურად იყო მზად მომავალი თაობის მისაღებად, მისაფერებლად. ფაქტიურად ამ კედლებში ჩვენ გვხვდებოდნენ უნიჭიერესი კალმოსნები–ჟურნალისტობა და ლიტერატურის სამყაროში მეგზურობა თანაბრად რომ შეეძლოთ და შეუძლიათ დღესაც. შეუქცევადი იყო ურთიერთობა სკოლასა და გაზეთს შორის, რაც ვფიქრობ, შესანიშნავი ტანდემია შემოქმედებითი და საგანმანათლებლო თვალსაზრისით.

ამიტომაც ეს სამი ფაქტორი –სკოლა, ოჯახი, მასწავლებელი, სამებისდარად უნდა იყოს ერთ სულადქცეული, რომ შედგეს ბავშვის ბუნებრივი ნიჭის განვითარება, მისი სამომავლო მიმართულების ჩამოყალიბება, რაც უპირველესად მშობლიური ენის ღრმა ცოდნით იწყება და რაც არ უნდა დიდი პათოსით არ ვსაუბრობდეთ უცხო ენათა აუცილებელ ცოდნაზე, უპირველესი ბაზისი და საფუძველი უცხო ენის ფლობისა, მხოლოდ მშობლიურის ბრწყინვალედ ცოდნაა.

როგორ ფიქრობთ, როგორ მდგომარეობაშია დღეს ქართული ენა, სჭირდება თუ არა მას დაცვა. ყველაზე დიდი პრობლემა, რაც მის წინაშე დგას?

–შეიძლება ის, რასაც ახლა ვიტყვი, მძიმე იყოს, მაგრამ დღეს, ისევ ისე უჭირს ენას მშობლიურს, როგორც მრავალგზის გამოუცდია და გადაულახავს ერის მოამაგეთა შემწეობით. არა იმიტომ, რომ ქართველს ნაკლებად უყვარს იგი... არა, პრობლემა ამაში არაა, მშობლიურის

5

„დედაენა"

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

„ქართულ ენაშია ჩვენი ქართველობა"

ქართული ენა დვთისაგან ნაბოძები სასწაულია

4

სიყვარული არ შეიძლება გაგიქრეს ან გაგინელდეს, მაგრამ აქ სხვა სინდრომმა იჩინა თავი... ენა გამარტივდა, შესაბამისად გამარტივდა მეტყველება... შესაბამისად წერის კულტურა. 21-ე საუკუნის თაობის უმრავლესობა ემოციას, მოვლენას უმარტივეს წინადადებებად აწყობს-აბსოლუტურად მისაღები გახდა არა მხოლოდ ბარბარიზმები, უკვე საკუთრივ ინტერპრეტირებული სიტყვები ნელ-ნელა მკვიდრდება მეტყველებაში, მისაღები ხდება ის, რაც პირველსიტყვას, ფუძე სიტყვას გასაქრობად ამზადებს... რადგან უკვე არ ვიხედებით ენის სიღრმეებშისაბას დარად, ილიასებურად, კონსტანტინესეულად... ჩვენ უცხო კულტურათა გავლენის ქვეშ მრავალგზის დავმდგარვართ, მაგრამ ეს პროცესი დროებითი ყოფილა და ისევ ფენიქსივით აღმდგარა, განახლებულა ყოველივე ქართული. ენის განვითარება შეუქცევადი პროცესია და აბსოლუტურად მისაღებია ახალი სიტყვათწარმონაქმნები, თუნდაც კალკი–აუცილებლობის შემთხვევაში... მაგრამ ენის მთავარი პრობლემა ჩვენს აზროვნებაშია, არ შეიძლება დეგრადირებული სიტყვით მეტყველებდეს ადამიანი, ვინც ასწავლის, ან ყოველშემთხვევაში, ვისაც გარკვეულწილად უსმენს მოზარდი. არ შეძლება მასწავლებელი მეტყველებდეს ე. წ. „თინეიჯერულ" ენაზე იმისათვის, რომ კონტაქტური ერქვას არა მხოლოდ სკოლაში, არამედ სკოლის გარეთ. პირიქით, მოზარდი მისი ქართულით, მისი შინაგანი კულტურითა და მეტყველებით უნდა, უნდა იხიბლებოდეს. ახლა მახსენდება ჩემი სტუმრობები ბატონ შალვა კალანდიასთან, როცა ის მომმართავდა, როგორც ბავშვს, მიუხედავად მისი ასაკისა და ავადმყოფობისა, მისი ქართული იმდენად ბრწყინვალე და არისტოკრატული იყო, მასთან მისასვლელად გასაკუთრებით ვემზადებოდი. დარწმუნებული ვარ, ის არასოდეს, სახლშიც არ მეტყველებდა „მცირედქართულით", აქედან გამომდინარე, მისი მანერაც კი პატივისცემას ბადებდა, ამიტომაც მივიჩნევდით ერთგვარ მეტრად. ბრწყინვალე თხრობით გამორჩეული მასწავლებელი–ეს არის ყველა დროის მოსწავლის გარანტი, უყვარდეს და პატივს სცემდეს სწავლებას. თუკი ცოცხალი მაგალითი მრავლად არ ექნა მოზარდს, მერე უკვე ვერ უსაყვედურებ, აქ მშობლის ნებისმიერი არგუმენტი შეიძლება ბავშვს ესმის, რომ სწორია, მაგრამ სუსტია, რადგან საზოგადოებისაგან მიღებული ჭარბი ინფორმაცია ყოველთვის თრგუნავს მცირედს და მეტყველების სისუსტესთან ერთად შემოგვეპარება ენის დამცრობა.

სამწუხაროდ, გარკვეული ტრადიციულობა იკარგება სხვადასხვა მიზეზით, რაც ვფიქრობ საგაკვეთილო სისტემაში შეტანილი ზოგიერთი არასწორი ნოვაციის გავლენაა, სადაც პედაგოგის როლი გარკვეულწილად შეზღუდულია მოსწავლის თავისუფლების ხარჯზე, თუმცა ეს სადაო საკითხია, რამდენად უფრო ძლიერი დონე შეიმჩნევა, ვფიქრობ , უნიჭიერესი თაობა იზრდება და თანაფარდობა წარმატებულ და ნაკლებადწარმატებულ მოსაწავლეთა შორის ისევ ტრადიციულია. თუმცა, საბედნიეროდ, ხობს ჰყავს ბრწყინვალე მასწავლებლები, სწორედ ამიტომ მივესალმე თქვენს რუბრიკას, რომელსაც სოციალურ ქსელშიც უთბილესი გამოხმაურებები მოჰყვა.

რაში ხედავთ პრობლემის მოგვრების გზებს. ვინ უნდა შეასრულოს ყველაზე მეტი როლი ამ საქმეში?

–ისევ და ისევ სახელმწიფომ, რადგან ეს უნდა გახდეს პრიორიტეტთა შორის ყველაზე პრიორიტეტული. ისევ და ისევ ქართულმა საზოგადოებამ, ისევ და ისევ უნდა წამოვიდნენ ერის წიაღიდან მოღვაწეები, რომლებიც ილიასებურად ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანენ სალიტერატურო ენას, ქართველს ქართული ენის სამართლიან სიამაყეს აგრძნობინებენ.

„მიუხედავად იმისა, რომ მწერლის ენა და სტილი მისი დროის დავისა და შეხლა-შემოხლის საგანი იყო, დასავიწყებლად გამეტებული ქართული სიტყვები დაფერა, სისხლი გადაუსხა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოიტანა და დაამკვიდრა"–ერს კვლავაც სჭირდება შემოქმედი, რომელიც ააღორძინებს ენას კონსტანტინესეულად.

მასწავლებლები, რომელთა განათლება და შინაგანი კულტურა თანაფარდობითობითია და საუკეთესო ნიმუში მომავალი თაობის ჩამოსაყალიბებლად, რისი უამრავი მაგალითი გვაქვს წარსულში და დღესაც.

21-ე საუკუნეში მთელი სახელწიფო ინსტიტუციები უნდა მიემართოს ეროვნული ღირებულებების განმტკიცებისა და გაძლიერებისაკენ, ყოველივეს კი განათლების სისტემის ეროვნულობისაკენ მიმართული სისტემატიზაცია უნდა დაედოს საფუძვლად, რადგან ჩვენ სწორედ ჩვენი ეროვნულობით, ჩვენი სულიერი, ისტორიული, თვითმყოფადი კულტურული ღირებულების სიმბოლოთი–ქართული ენით უნდა ვიყოთ გამორჩეულები. პირიქით, მას უნდა სწავლობდნენ უნიკალურობის, უნივერსალურობის გამო და თუ ჩვენ თავად დავაკნინებთ მას, უცხოს ვერასოდეს გავაგებინებთ მის ხიბლს.

თქვენი საყვარელი სტრიქონები, რომელიც დედაენას ეძღვნება.

„ეს არის ჩემი წარსული,
აი, საიდან მოვდივარ,
ვიღაცა ამით მიწუნებს,
ვიღაცას ამით ვჯობივარ."

თქვენ ძალიან გიყვართ პოეზია და თვითონაც წერთ, გთხოვთ, ჩვენი ინტერვიუ დავამთავროთ თქვენი ლექსით.

–გეთანხმებით რომ მიყვარს პოეზია, მაგრამ არანაკლებ პროზა. ამიტომაც ეს ორი სტიქია ერთად უფრო მათქმევინებს სათქმელს:

„ლოცვა დაუწყიათ თაველებს- მზემ
გადმოგვავლოსო თვალი,
ფიქრებს უწვიმიათ ანბანთან-
ჰოემდე მივიტანოთო ჯვარი...
ასე ათენებდნენ ღამეთა, ფურცლებს
შერჩენიათ ჩქამი...
ქართველო დედაენის გარეშე-არ
დარჩე არც ერთი წამით.
თორემ დედინაცვლის ენაზე,
ვეღარ დაისიზმრებ მამულს,
ვერც ვაზის ლერწებში ვერ ნახავ,
ნამში გადახატულ სხივებს.
ისევ გამოჰყევი დედის გზას,
ისევ მოინატრე „ნანა"
მამული- რუსთველით დაიწყე,
სხვა ხმები-„მუმლი მუხას" ჰგვანან...
მუხა გადარჩაო, ხომ იცი...
დღეს ხედავ.... ფესვები სჩანან,
წყაროს ნუ დაუშრობთ ბერმუხას
მგონნები დედოზართან დგანან...

დედაენა- დედოზარივით რვალისა და მუსიკის ხმის შემნახავად და განმამტკიცებლად გებოძა სულო, არა დაკნინება, შენგან მოფერება სჭირდება მას... არა ისე უბრალოდ, ან დროებით–ყოველ წამს უნდა გეფიქრებოდეს ბედი და ბედისწერა მისი... მშვენიერია იგი, საწყისიდანვე, ვითარცა წყაროსწყალი ამოუცნობი წიაღიდან მავალი... მერე, შენსკენ მომავალს თუკი ტალახსა და თეძამს შეახვედრებ–აიმღვრევა ტკივილისაგან, რამეთუ უკუქცევა არ შეუძლიათ წყაროთ, ნაწყენი აგივლის გვერდს, მერე ჯიუტად გაგრძელებს გზას შენგან ასე შელახული, იმედით იქნება განვიწმინდოო და თუ თავის გზაზე მრავლად არ შეხვდა მსგავსი წყენანი, ერთი მჩქეფარებით ამოისუნთქავს და დაიწმენდს სულს, ისევ აკამკამდება, ისევ დაიწყებს სხივთა ასხლეტას და სხივთა ჩაკონებას მისი ბუნება... წყაროს თავის ჯვარი აქვს მისატანი, ანი-წიაღიდან იწყება სულო, დედაენას–ჯვარი თვისი მისატანი აქვს უსასრულობამდე- ჰოემდე და ეს ჯვარი ბრწყინვალებით უნდა ვატარებინოთ, რამეთუ დედაენა არც მარტო შენა ხარ და არც მარტო მე... რამეთუ არა დაკნინება, ჩვენგან განდიდება სჭიდება ენას ქართულს. თუ განადიდებ, შენ იქნები წყაროდან დაწყებული ზღვისა და ზღვიდან დაწყებული ცის მფლობელი, რომელსაც უფლის თვალი მზე ლოცავს დასაბამიდან დღემდე და შენ უნდა ილოცო მისი გზისათვის შენი თავანკარა ქართულით, რომელსაც ყველაზე მადლიანი სამადლობელი შეუძლია გითხრას და გათქმევინოს...

გვწერენ

საფიქრალი მეჯრია, თუნდაც ის, რომ დედა-ენაზე ზეპირი და წერითი მეცადინეობის კულტურის ჩვენი დღევანდელი დონე, არ არის საკმარისი, რადგან დედა-ენა ერთგვნული სხეულის მთლიანობის, ერის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის, მისი სიმტკიცისა და მარადიულობის საყრდენია. ენისა და ლიტერატურის სწავლებამ მოწოდებულია ჩამოუყალიბოს ახალგაზრდობას უნარი—იაზროვნოს დამოუკიდებლად, შემოქმედებითად, მასშტაბურად.

საზოგადოებას, პედაგოგებს მეჯრი სათქმელი აქვთ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე და სასისხარულოა, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კვლავ გაჩნდა რუბრიკა, რომელიც ჩვენი ენის საცავის განსჯას მოემსახურება.

მაია ალექსანდრია,
ქარიატის საჯარო სკოლის დირექტორი.

დედა-ენა საიმედო საყრდენია შინ და გარეთაც. იგი ცხოვრების გზის მაჩვენებელიცაა, მისი გამყვალავი. მშობლიურმა ჩვენმა ენამ, მძიმე ტვირთი ზიდა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების ძნელ გზაზე. ენა და ერი განუყოფელია.

გვიგულეთ რუბრიკის მხარდამჭერებად და თანამდგომებად.

ელისო იოსავა,
ბიის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

იყო დრო, როცა მშობლიურ-ქართულ ენაზე, მხოლოდ ჰედაგოგები მეჯლობდნენ. დღესდღეობით ეს საკითხი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ეინტერესებს. ქართული ენის და ლიტერატურის განვითარება-დახვეწისათვის ზრუნვა გამოხატა გაზეთმა „ხობის მოამბემ". ქართული მეცხოვლეების ყურადღება ეძღვნება ვეჭირველების განათლებას, ხელოვნებას, მეცნიერების ყველა მაუწყებელს. ამიტომ შემოთავაზებული რუბრიკა უნდა იყოს მეგრძელი, ქართული ენის სიწმინდის დამცველი, ექიაური პროპაგანდისტი, ყველასათვის საჭირო და საყვარელი.

ყველას გვეკვლება ამ ყოთხით ერთად დგომა და ბრძოლა.

ლალი ჰედია.

ქართველი ხალხის ანეგდოტი

არამართებული	მართებული
ორთავე სკოლა	ორივე სკოლა
იგივე წიგნმა	იგივე წიგნი
ერთი და იგივე წიგნმა	ერთი და იგივე წიგნი
ღზრდის	ზრდის
ღძრავს	ძრავს
ნკურნავს	კურნავს

წარმატების ფორმულა ფერმერთათვის

„თავი და მოლო ხალხის ცხოვრემისა, საზოგადოემისა, სიმდიდრისა, არის სოფლის მეურნეობა“.

ილია ჭავჭავაძე.

ინტერვიუ

ნომრის სტუმარია გიორგი გოგის ძე ბუკია. დამთავრებული აქვს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნის სპეციალობით. არის შ.პ.ს. „კოლხეთი და კომპანია“-ს დირექტორი.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქცია, შეიძლება ითქვას თქვენი „მეორე სახლი“ იყო, რადგან აქ მუშაობდნენ და მუშაობს თქვენთვის საყვარელი ადამიანები (ოჯახის წევრები), მიუხედავად ამისა, გთხოვთ, წარუდგეთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

–სწორად აღნიშნეთ, „ხობის მოამბე“ ჩემი მეორე სახლი იყო, დაბალ კლასებში გაკვეთილებს „გოგონებთან“ ერთად ვამზადებდი, თბილად მახსენდება მათი მზრუნველობა და ტკბილეული, რომელსაც საგანგებოდ მახვედრებდნენ. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მათგანი დღეს ჩვენს გვერდით არ არის, მათ შორის მამაჩემიც.

გთხოვთ, აღნიშნოთ განვლილ წლებში თქვენი სამუშაო პოზიციები.

–სტუდენტობის წლებში, ბიძაჩემის ხელშეწყობით შპს. „მგ კომპანიაში“ სტაჟიორად ამიყვანეს, სადაც სამ წელზე მეტი ვიმუშავე სხვადასხვა პოზიციაზე, პარალელურად თბილისის მერიის ადმინისტრაციის, იურიდიულ სამსახურში, კერძოდ, სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექსპერტიზის განყოფილებაში სტაჟიორად, სადაც შევიძინე დიდი გამოცდილება როგორც პროფესიულ, ასევე ადამიანებთან ურთიერთობებში.

2012 წლიდან ოჯახური მდგომარეობის გამო დავბრუნდი ჩემს მშობლიურ ხობში, ამჟამად ვარ შპს. „კოლხეთი და კომპანია“-2 დირექტორი.

სოფლის მეურნეობა ხელისუფლებისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. ამის ფონზე თქვენ დააფუძნეთ მეთევზეობის საკმაოდ დიდი საწარმო. გთხოვთ, გვითხრათ, საიდან მოვიდა იდეა, ვისთან ერთად მუშაობდით და მუშაობთ ამ საწარმოში?

–მივესალმები ტენდენციას და ვიმედოვნებ, რომ აღებული კურსი და პრიორიტეტები უცვლელი დარჩება, რაც ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

იდეას რაც შეეხება, არ არის ახალი, უბრალოდ მთავრობის მიერ გამოცხადებულმა იაფი კრედიტის პროგრამამ მოგვცა საშუალება, განგვეხორციელებინა პროექტი.

ამ საკითხებზე მუშაობა ძალიან საინტერესო და პროდუქტიული გამოდგა, რადგანაც პროცესში მოგვიწია მრავალი საინტერესო საკითხებში სიღრმისეულად ჩახედვამ. აქედან დაიბადა ბევრი საინტერესო სხვა იდეაც, რაზედაც მომავალში მუშაობას აუცილებლად დავიწყებთ. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ გარდა გამოცდილებისა და ცოდნისა, გავიცანით საინტერესო და კარგი ადამიანები. ჩვენ მჭიდრო პარტნიორული და პირადი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა, რითაც კმაყოფილი ვარ.

ხომ არ ფიქრობთ ამ დარგის შემდგომ განვითარებასა და გაფართოებაზე?

–დარგის შემდგომ განვითარებასა და გაფართოებაზე რა თქმა უნდა, ვფიქრობ, ეს ბიზნესისთვის აუცილებელია. ამ სფეროში ახალბედები ვართ და ის მასშტაბები, რითაც დავიწყეთ, ვთვლი, რომ საკმარისია, იმისათვის რომ დავაგროვოთ საჭირო გამოცდილება და ცოდნა, რათა მომავალში უფრო გავფართოვდით. ხოლო, რაც შეეხება განვითარებას, ამაზე ყოველდღიურად ვმუშაობთ.

რატომ აირჩიეთ სოფელი შუა ხორგა ამ საწარმოს გასახსნელად?

–მართალია მოგვიწია რთული სამუშაოების ჩატარებამ და ინფრასტრუქტურის მოწყობამ, მაგრამ სოფელ შუა ხორგაში შედარებით ხელსაყრელი პირობები დაგვხვდა.

რამდენი ადამიანია დღეს აქ დასაქმებული?

–ჯერჯერობით ხუთი ადამიანი დავასაქმეთ, ამათგან ერთი ასრულებს მენეჯერის ფუნქციას, ხოლო დანარჩენი ოთხი, რომლებიც ხორგის მაცხოვრებლები არიან, დარაჯობასთან ერთად, თევზის მოვლა-პატრონობასაც ითავსებენ.

ძირითადად რა პროცესები მიმდინარეობს აღნიშნულ საწარმოში, ანუ როგორია ერთი სრული ციკლი?

–აპრილის თვეში ჩავსვით სამი სახეობის თევზი–ამური, კობრი და სქელშუბლა, რომლებიც იკვებებიან როგორც ტბორში არსებული წყალმცენარეებით, ასევე სპეციალური საკვებით, რომელიც შეიცავს პროტეინებს და ხელს უწყობს მათ ზრდას.

როგორ აპირებთ მიღებული პროდუქციის გასაღებას, გამოიყენებთ ადგილობრივ ბაზრებს თუ გაიტანთ სხვა ქვეყნებში?

–ამ ეტაპზე ჩვენი გათვლებით, შიდა ბაზარზე ვართ ორიენტირებულნი. ექსპორტი მომავლის საკითხია.

ამ საწარმოს გახსნის პერიოდში რა იყო ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც შეგხვდათ?

–ყოველ ახალ საქმეს თუ წამოწყებას პრობლემები ახლავს, ჩვენთან განსაკუთრებული სირთულე და დაბრკოლება არ გვქონია, თუ არ ჩავთვლით გზასა და შუქს, რაც უახლოეს მომავალში მოგვარდება.

იმედია, პროექტი გაამართლებს

იმედია, პროექტი გაამართლებს და მიზანსაც მივაღწევთ.

ესაუბრა
მანანა შულაია.

გვეკითხებიან ვპასუხობთ

რა არის წვეთოვანი რწყვა და როგორ გამოიყენება იგი?

–წვეთოვანი მორწყვა არის საირიგაციო სისტემა, როდესაც სუფთა წყალი და სასუქი მიეწოდება ნიადაგს ზემოდან, ან ქვემოდან (მცენარის ფესვებში) ძალიან მცირე, მაგრამ უწყვეტი ნაკადით, ან წვეთებით, წვეთოვანის საშუალებით. ამ მეთოდის გამოყენების სფერო დღითიდღე იზრდება, რადგან ამ გზით ეფექტურად გამოიყენება და იზოგება დიდი რაოდენობის წყალი, ნიადაგი ინარჩუნებს ტენიანობას სასურველ დონეზე და მცენარეები იღებენ საჭირო რაოდენობის სასუქს წყლის საშუალებით. წვეთოვანი მეთოდი უზრუნველყოფს მორწყვის მაღალ ეფექტურობას. წყლის გასაშვებად ძალიან მცირე წნევა არის საჭირო. არ საჭიროებს გათანაბრებას უხეშ მიწებზე. შესაძლებელია ნიადაგში მარილის რაოდენობის გაკონტროლება და მისი გამუდმებულად წყლით მომარაგების უზრუნველყოფა. წვეთოვანი სისტემის დამსახურებით შესაძლებელია მცენარეების ზედა ნაწილის დასველების თავიდან აცილება ჰაერის ტენიანობის მნიშვნელოვნად შეცვლის გარეშე. ამის გარდა, მიწის ზედაპირი მცენარეებს შორის რჩება მშრალი. იდეალური წვეთოვანი მორწყვის მიღწევა შესაძლებელია თანაბარი რაოდენობის წყლის გაშვებით ყველა წვეთოვანიდან. ამგვარად გარანტირებულია ყველა მცენარისთვის მეტნაკლებად თანაბარი რაოდენობის წყლის მიწოდება მორწყვის პერიოდში. როდესაც წყლის მიწოდება მაქსიმალურად თანაბარია, წყლის ჩაჟონვის საშიშროება ფესვების ტერიტორიიდან მიწის სიღრმეში ნაკლებია და მცენარისთვის საჭირო რაოდენობის წყალი მიეწოდება ფესვებს. ამ მეთოდის გამოყენებით წყლის აორთქლებით გამოწვეული დანაკარგი კლებულობს და მიწოდებული წყლის რაოდენობა ავტომატურად შეიძლება გაკონტროლდეს. ამის გარდა, წვეთოვანი სისტემა მცირეოდენ მუშა ხელს მოითხოვს, შესაბამისად მეთოდის გამოყენება ნაკლებ ხარჯთან არის დაკავშირებული.

წვეთოვანი მორწყვის უპირატესობები

- ზოგავს წყალს;
- იცავს მიწას ამლაშებისგან;
- შესაძლებელს ხდის მცენარისთვის იმდენი წყალი მიეწოდოს, რამდენსაც საჭიროებს;
- რამდენადაც წყლის წყარო მცენარესთან ახლოს არის, ენერგია იხარჯება ღეროსა და პროდუქტზე და არა ფესვის განვითარებაზე;
- ხელს უშლის ბალახის ზრდას, რომელიც წარმოიქმნება მცენარისგან მოშორებული მიწის მორწყვისას;
- მუშაობა უფრო ეფექტურია, რადგან ნიადაგი არ ტალახდება;
- მცენარეს წყალში გახსნილი სასუქი მიეწოდება, რომელიც პირდაპირ აღწევს მცენარეში და ამცირებს სასუქის ხარჯს;
- დაქანებით გამოწვეულ დაუბალანსებელ მორწყვას არ აქვს ადგილი;
- მცენარის ყვავილები არ ზიანდება მორწყვით;
- ძალიან მარტივია მისი აღება, შენახვა და შემდეგ თავიდან დაყენება;
- დაბინძურების შესაძლებლობა მინიმუმზეა დაყვანილი წვეთოვანების სტრუქტურის გამო;
- აკეთებს აგროკულტურული პესტიციდების, სასუქის და მუშა ხელის ეკონომიას;
- ენერგიის ხარჯი მინიმალურია სისტემის დაბალ წნევაზე მუშაობის გამო.

წარმოების სპეციფიკაციები:

წვეთოვანი სარწყავი მილები დამზადებულია ნედლი პოლიეთილენის მასალით. წვეთოვანები მილში წარმოებისას ყენდება, მისი ლაბირინთისებრი სტრუქტურა ხელს უწყობს წყლის წნევის კლებას, ამიტომ მილიდან წყალი წვეთობით გამოდის. წვეთოვანები მილში სხვადასხვა დისტანციით არის განლაგებული, იმის მიხედვით, თუ რა დაშორებაა მცენარეებს შორის. მილი დახვეულად მიეწოდება მომხმარებელს, რაც იძლევა სასურველი სიგრძის მოჭრის საშუალებას.

როდის მოვახდინოთ სარეველა მცენარეების წინააღმდეგ სიმინდის ყანის შეწამვლა თესვამდე თუ თესვის შემდგომ? რომელი შხამ-ქიმიკატები გამოვიყენოთ?

სიმინდის 2-3 ფოთლის ფაზაში ფართოფოთლიანი სარეველების წინააღმდეგ საჭიროა 1.5-2 კგ ჰა 2.4 დ ამინის მარილის გამოყენება, ხოლო ფესვნაყრიანი სარეველების წინააღმდეგ, როდესაც მათი სიმაღლე 10-15 სმ მიაღწევს, კულტურის 5-6 ფოთლის ფაზამდე 25%-იანი „ტიტუსი“-ს (0.04 კგ/ჰა) ან მისი ანალოგიების შესხურება. (დოზირება 300-400 ლ/ჰა). ასევე შესაძლებელია სიმინდის თესვიდან მეორე-მესამე დღეს გამოყენებულიქნეს ტოტალური მოქმედების ჰერბიციდი კოკოგოლდი - (5კგ/ჰა) (დოზირება 300-350ლ/ჰა).

როდის შეიძლება დაითესოს სოია და რომელი ჯიშები გამოვიყენოთ სათესლედ?

სოიას ჯიშებიდან საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი ჯიშებია: ადრეულა 6, კოლხიდა 4, მოწინავე 7 და ასევე ფრანგული ახალი ჯიში სუმატრა.

ადრეულა 6-ჰიბრიდული ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი 110-115 დღეს უდრის. მოსავლიანია, მარცვლის ცვენადობა არ ახასიათებს. კოლხეთის პირობებში ჰექტარზე იძლევა 37.7 ც. მარცვლის მოსავალს.

კოლხიდა 4-ჰიბრიდული ჯიშია, საშუალო სიმაღლის, კუტი ფორმის, ხვიარობა არ ახასიათებს.

პარკები და მარცვლები მსხვილი აქვს. საგვიანო ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი 145-160 დღეს უდრის. კარგად იტანს სიმინდში შეთესვას, ჰექტარზე იძლევა 14,4ც. სუფთა ნათესის დროს მისი მოსავლიანობა 30,2ც აღწევს.

დასავლეთ საქართველოს პირობებში, სადაც სოია სიმინდთან ერთად ითესება, ნიადაგის მომზადების წესი ისეთივეა, როგორც ძირითადი კულტურის- სიმინდისა. საქართველოს პირობებში სოიოს თესვის ვადები ემთხვევა სიმინდის თესვის ვადებს. სოიოს სუფთად თესვის დროს, საუკეთესო შედეგებს იძლევა თესვა 10- დან 30 აპრილამდე. სოია როგორც სათოხნი მცენარე, საჭიროა დაითესოს ფართო მწკრივებად, მწკრივებს შორის 60-70 სმ, ხოლო მცენარეთა შორის მწკრივში 18-20 სმ. სოიას სუფთად თესვის დროს ჰექტარზე საჭიროა 30-40კგ თესლი, სიმინდთან შეთესვის დროს კი 10-14კგ. ჩათესვის სიღრმეა 4-5სმ.

ხოლო სოიას ფრანგული ახალი მოწინავე ჰიბრიდული ჯიში სუმატრას მოსავლიანობა ძალზედ მაღალია. პოტენციალური მოსავლიანობაა 50ც|ჰა. ის გამოირჩევა მაღალი გამძლეობით დაავადებებისა და არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიმართ. საადრეო ჯიშია. თესვის ოპტიმალურ ვადად ითვლება აპრილის ბოლოდან მაისის შუა რიცხვებამდე, როცა ნიადაგის ტემპერატურა მიაღწევს 8-10c^0. თესვის სიღრმე 4-5 სმ. თესვის ნორმა მშრალ და გვალვიან პირობებში 1 ჰა-ზე ითესება 275000-28000 მარცვალი, 55კგ ჰა. ტენით უზრუნველყოფილ პირობებში-1 ჰა-ზე ითესება 280000-290000 მარცვალი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო, ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური.

ა უ ქ ც ი ო ნ ი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე №1, №2(განმეორებითი აუქციონი) და №3 დანართების შესაბამისად.

დანართი №1

№	ქონების დასახელება	სარეგისტრაციო ნომერი	გამოშვების წელი	ფერი	ტიპი	აუდიტორული შეფასება	„ბე“ 10%	„ბიჯი“ 10%	ბილეთის ფასი
1	ა/მანქანა „ფორდ მონდეო1.8“	NAA 876	*1994*	*ლურჯი*	*ჰეტჩბეკი*	*1700*	*170*	*170*	*20*
2	ა/მანქანა „ვაზ 21213“	WLW 724	2003	თეთრი	მსუბუქი მაღალი გამავლობის	1500	150	150	20
3	ა/მანქანა „მერსედეს ბენც 320“	SZS 002	2001	ყავისფერი2/8	მსუბუქი მაღალი გამავლობის	7500	750	750	20
4	ა/მანქანა „ოპელ ომეგა“	BBT 267	1995	ლურჯი 6/8	სედანი	1000	100	100	20
5	ა/მანქანა „ოპელ ომეგა“	BBT 268	*1995*	*მწვანე 8/8*	*სედანი*	*700*	*70*	*70*	*20*
6	ა/მანქანა „მონტერო-სპორტი“	AOO 009	1999	შავი	მსუბუქი მაღალი გამავლობის	6600	660	660	20

დანართი №2

№	დასახელება	მდებარეობა	რაოდენობა	ერთეულის გასაყიდი ფასი	„ბე“ 10%	*ბიჯი 10%*	*მონაწილის ბილეთი*
1	ფუნდამენტის ბლოკი ერთ მეტრიანი 0.5მეტრიანი	ქვ. ქვალონი	80 48	25.50 12.90	2.60 1.30	2.60 1.30	20
4	წისქვილი	ქარიატა	1	170	17	17	20
3	წისქვილი	ქ. ხობი ბარათაშვილის ქუჩა	1	72	0.7	0.7	20
4	დახურული რკინა-ბეტონის ავზი	ნოჯიხევის პროფსასწავლებლის ტერიტორია	1	7	0.7	0.7	20
5	წყლის ლითონის მილები	გურიფული	219.8	5,0	0,5	0,5	20
6	წყლის მრიცხველი	ახ. სოფელი	4	59	5,90	5,90	20
7	წყლის მრიცხველი	საგვიჩიო	3	14	1,40	1,40	20

დანართი №3

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

№	შენობის დასახელება	მისამართი	სართული	ოთახების რაოდენობა	გასაიჯარებელი ფართობი კვ.მ	1 კვ.მ ფართობის საბალანსო ღირებულება	ქონების გასხვისების ვადა (წელი)	იჯარის ქირის განაკვეთი (%)	საიჯარო ქირა 1 კვ.მ (წელიწადში)	„ბე“ 10%	ბიჯი 10%	ბილეთის ფასი
	საყოფაცხოვრებო სახლი	ჭალადიდი	I	7	139,48	82	3	40	32,80	3,28	3,28	20
			II	6	115.69	82	3	40	32,80	3,28	3,28	20

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი, ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2013 წლის 15 ივლისი, 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–20122900, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–220101222, სახაზინო კოდი–300403313.

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ზვიად დათუაშვილის სახელოგის თასზე

11-16 ივნისს, შუა ხორგის სტადიონზე მინი ფეხბურთში რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ვაჟკაცის, ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გათამაშება გაიმართა. შეჯიბრებაში შუა ხორგის, ქარიატის, გურიფულის, ხობის, ახალი სოფლის და საგვიჩიოს გუნდები მონაწილეობდნენ. კენჭისყრის შედეგად A ჯგუფში ხობის, ახალი სოფლის და საგვიჩიოს გუნდები გაერთიანდნენ, ხოლო B ჯგუფში გურიფულის, შუა ხორგისა და ქარიატის გუნდები ასპარეზობდნენ. ჯგუფური თამაშების შემდეგ ნახევარფინალში ასე დაწყვილდნენ: შუა ხორგა-ახალი სოფელი და ხობი-გურიფული. პირველ ნახევარფინალურ წყვილში შუა ხორგისა და ახალი სოფლის გუნდებს შორის, მატჩის ძირითადი დრო ფრედ, 1:1 დამთავრდა. პენალტების სერიაში კი შუა ხორგელებმა გაიმარჯვეს და ფინალში გავიდნენ. მეორე წყვილში ხობისა და გურიფულის გუნდებს შორის მატჩი აქაც დაძაბულად წარიმართა და ძირითადი დრო უქულოდ, 0:0 დამთავრდა. პენალტების სერიაში კი უძლიერესები გურიფულელები აღმოჩნდნენ და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

16 ივნისს, მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი გაიმართა.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს ნახევარფინალში წაგებულები ახალი სოფლისა და ხობის გუნდები დაუპირისპირდნენ. ხობელებმა შეძლეს მატჩის მოგება და მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი დაისაკუთრეს (რწმუნებული ნუგზარ შონია). ფინალური მატჩი შუა ხორგისა და გურიფულელებს შორის თავიდან დაძაბულად წარიმართა, თუმცა შემდეგ გურიფულელთა აშკარა უპირატესობისთ გამოიკვეთა. მათ მეტოქე დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხეს, ამრიგად ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გამარჯვებული გურიფულის ფეხბურთელთა გუნდი გახდა (რწმუნებული ნანა გვასალია), რომლებიც დაჯილდოვდნენ ზვიად დათუაშვილის სახელობის თასით და სიგელით. მეორე ადგილი შუა ხორგის ფეხბურთელთა გუნდს (რწმუნებული მალხაზ ქაცარავა) ერგო. ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო მოთამაშეებისთვის.

საუკეთესო მეკარე გახდა-თემურ დგებუაძე (ხობი); საუკეთესო მცველი-ირაკლი ალანია (შუა ხორგა); საუკეთესო ნახევარმცველი-ნიკა კეკუა (ახალი სოფელი); საუკეთესო თავდამსხმელი-გიორგი შენგელია (შუა ხორგა); საუკეთესო ბომბარდირი-სულხან თოდუა (ხობი); საუკეთესო ფეხბურთელი ლაშა გოგენია (გურიფული) გახდა. ორგანიზატორებმა სპორტული ფორმებითა და ბურთებით საუკეთესო გულშემატკივარი მათე ცირდავა დაჯილდოვეს.

ფინალური მატჩის დამთავრებისთანავე გაიმართა დაჯილდოება. დაჯილდოებას გამგებლის მოადგილე ბატონი მახარე ჩოკორაია, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონი ფერიდე გოგია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ქალბატონი ნანა ბუკია, შუა ხორგის რწმუნებული ბატონი მალხაზ ქაცარავა, ქ. ხობის რწმუნებული ნუგზარ შონია უძღვებოდნენ.

დაჯილდოების პერიოდში ტურნირის ორგანიზატორებმა, მონაწილეებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ზვიად დათუაშვილის და მასთან ერთად დაღუპული ვაჟკაცების ხსოვნას, შემდეგ კი მისი საფლავი ყვავილებით შეამკეს.

ლევან ლემონჯავა.

შოთა კიზირია

სულთათანა



ჩვენო საყვარელო ბაბუა! ორმოცი დღე უშენოდ მწუხარებით გაილია. არ დააბიჯებ შენს კარ-მიდამოში, არსად ისმის შენი ხმა... ძალიან გვტკივა უშენობა, თურმე როგორ გვყვარებიხარ...

ჩვენზე ზრუნავდი, ყველაფერს აკეთებდი ჩვენთვის, არ ნებდებოდი სიბერეს. გვჯერა, შენი სული უკვე შეუერთდა მარადისობას, რადგან შენისთანა სულის და ბუნებით კეთილშობილ ადამიანს ღმერთი სასუფეველს გაგინათებდა და მართალთა შორის დაივანებდი. ძნელია შენთან სამუდამოდ განშორება.

ჩვენო ტკბილო, ჩვენო ძვირფასო ბაბუა, შენით ვიამაყებთ. არ შევარცხვენთ შენს კარგ ოჯახს და შენს ვაჟკაცურ სახელს, რადგან კაცური კაცის სახელი დატოვე წუთისოფელში. იძინე მშვიდად, მოვეფერებით და გავუფრთხილდებით ჩვენს საყვარელ ბებოს, რომელსაც უშენობა ძალიან უჭირს.

ვფიცავთ, ჩვენი გულებიდან არასდროს ამოიშლები, ყოველთვის ვიამაყებთ, რომ ჩვენ შოთა კიზირიას შვილიშვილები, მისი მოდგმისანი ვართ.

ჩვენს მიერ ანთებული წმინდა სანთლები მუდამ გაგინათებს სასუფეველს, ჩვენი ცრემლები მალამოსავით დაეპკურება შენს მტკივან სხეულს.

შევთხოვთ უფალს, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული!

ზოთიკო და საბა კიზირიები.

ხობის მუნიციპალიტეტის ახალი სოფლის ტერიტორიული ორგანო და №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან გიორგი გორგაძეს დედის

თალიკო ჭანტურიძეს

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გზა დაგელოცოთ მომავლისაკენ!

ივნისია. ცხელა... დადგა მომავალ პირველკლასელთა საბავშვო ბაღთან დამშვიდობების დღე. დღე ამაღელვებელი, სასურველი, ლამაზი და თვალებხატულა გოგო–ბიჭებივით მშვენიერი.

ხობის №2 საბავშვო ბაგა–ბაღის (მთავარი სპეციალისტი ნარგიზა ტუღუში) ეზო

საზაფხულო, ღია თეატრს წარმოადგენდა. ათასფრად აელვარებული, დამშვენებული, მუსიკის ჰანგები არემარეს ავსებდა და ახალისებდა. აქ გამოფენილიყო ყველა ის ნამუშევარი (პედაგოგებისა და პატარების ხელებით დამზადებული), რომლის სწავლებას მთელი სასწავლო წელი მოანდომეს.

ვის არ მოხიბლავდა ფერიებად, პრინცებად და პრინცესებადქცეული პატარები, რომლებიც ერთმანეთს ლექსების წაკითხვაში ეჯიბრებოდნენ, თავს იწონებდნენ ულამაზესი ცეკვებითა და სიმღერებით. პატარები მართლაც საოცრად მომხიბვლელები და საყვარლები იყვნენ. ბავშვებთან ერთად პედაგოგებიც და მშობლებიც ღელავდნენ. თითოეული მათგანი ბაღის გამოსაშვებ „გამოცდებს“ აბარებდნენ. მათ მთელი ამ წლების მანძილზე შეძენილი ცოდნა შესანიშნავად ჩააბარეს. ულამაზესი იყო ამ დღისათვის შეკერილი კაბები, ბაბთები, სამეჯლისო ფორმები...

ღონისძიების ბოლოს ისმოდა პატარების ომახიანი შეძახილები–მშვიდობით ბაღო! გამარჯობა სკოლავ!

ასეთივე ლამაზი დღე ჰქონდათ **ხობის №3 საბავშვო ბაღის** აღსაზრდელებსა და აღმზრდელებს (მთავარი სპეციალისტი თამრიკო დიდიშვილი). საოცრად მშვენიერები იყვნენ პატარები. ბაღთან გამომშვიდობება თავისებურად გამოხატეს და სიყვარულით ემშვიდობებოდნენ მის კედლებსა და აღმზრდელ–მასწავლებლებს.

...ეზოები სტუმრებს ვერ იტევდა. აქ იყვნენ მშობლები–დედები, მამები, ბებიები, ბაბუები, პატარების ახლობლები სხვადასხვა ქალაქებიდან...

ბაღებს სტუმრობდნენ და მათ გაწეულ შრომას აფასებდნენ მუ-

ნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა ქარდავა,** გამგებელი **კახაბერ ბენიძე,** გამგებლის მოადგილეები **მახარე ჩოკორაია** და **როსტომ კილასონია,** გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ფერიდე გოგია,** ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი გაერთიანების დირექტორი **ელისო კვიკვინია,** საკრებულოს დეპუტატი სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **დალი გერგაია,** ჟურნალისტები და სხვა მოწვეული სტუმრები...

ზეიმის ბოლოს, საბავშვო ბაღების ხელმძღვანელებმა ნარგიზა ტუღუშმა და თამრიკო დიდიშვილმა კიდევ ერთი ლამაზი დღე მიულოცეს აღსაზრდელებს–მომავალ პირველ კლასელებს, მოწვეულ სტუმრებს, მშობლებს და ყველას, ვისთვისაც ეს დღე ასე სასურველი, სანატრელი და საინტერესო იყო. პატარებს კი სკოლისაკენ გზა დაულოცეს და ულევი სიხარული, ბედნიერება და მომავალი წარმატებები უსურვეს.

ნანი კილასონია

მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი კონფერენცია

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი კონფერენცია გაიმართა. მასში მონაწილეობას ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ათი მომხსენებელი იღებდა. კონფერენცია ტრადიციულია და ის უკვე მეოთხე წელია წარმატებით მიმდინარეობს. მისი მიზანია ახალგაზრდა თაობის თვითრეალიზაცია, მიღებული ცოდნის გაღრმავება, სისტემური ხედვისა და ინტერპრეტაციის უნარის ინდივიდუალური კვლევა-ძიებისათვის ჩვევების გამომუშავება და განვითარება, ახალგაზრდების ინტერესთა შესაბამისად ნიჭისა და უნარის გამოვლენა-განვითარების ხელშეწყობა.

კონფერენციაზე სამი სექცია მუშაობდა: სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, მსოფლიოს გამოჩენილ მხატვართა შემოქმედებისა და ქართული ფოლკლორის შემსწავლელი.

კონფერენციაზე საჯაროდ წარმოდგენილ თემებს აფასებდა კომისია შემდეგი შემადგენლობით: **მახარე ჩოკორაია** (კომისიის თავმჯდომარე); **ფერიდე გოგია** (სამსახურის უფროსი); **ნანა ბუკია** (განყოფილების უფროსი); **გოგიტა ჩიტაია** (სექციის ხელმძღვანელი); **აზა თათარიშვილი** (სექციის ხელმძღვანელი); **ბესიკ ქავთარაძე** (სექციის ხელმძღვანელი).

კონფერენციამ საინტერესოდ ჩაიარა. თემების პრეზენტაციებს მოჰყვა კითხვა–პასუხის რეჟიმი და რეფერენტებმა ღირსეულად წარმოადგინეს საკუთარი შესაძლებლობები. საბოლოოდ გამოვლინდნენ საუკეთესოები. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სექციიდან პირველ ადგილი დაიკავა და შესაბამისად სიგელით დაჯილდოვდა საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლის წარმომადგენელი **შოთა ნარსია** თემით–„სამოქალაქო საზოგადოება და მისი როლი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში“ (ხელმძღვანელი ბელა ქვარცხავა); მსოფლიო გამოჩენილ მხატვართა შემოქმედების შემსწავლელი სექციიდან პირველი ადგილი დაიკავა შუა ხორგის საჯარო სკოლის წარმომადგენელმა **ნინო ბერაიამ** თემით–„უნივერსალური ადამიანი“, ხოლო ქართული ფოლკლორის შემსწავლელი სექციიდან პირველ ადგილზე გავიდა საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლის წარმომადგენელი **ბელა გვასალია** თემით–„საქართველო ვოკალური მრავალხმიანობის ქვეყანა“ (ხელმძღვანელი თეა კვირკველია).

მოსწავლეების შთაბეჭდილებებით დატვირთული თემა ექსპერტებმა პროფესიულ დონეზე შესრულებულად მიიჩნიეს.

საბოლოოდ, კომისიის თავმჯდომარე მახარე ჩოკორაიამ კონფერენციის მონაწილეებს სიურპრიზი გაუმხილა–კონფერენციაში ჩართული ახალგაზრდები ექსკურსიით ბათუმში გაემგზავრებიან.

ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს მოსწავლეებს, განათლების რესურსცენტრს, სკოლის დირექტორებს, პედაგოგებს თანამშრომლობისთვის და პროექტის მხარდაჭერისთვის.

ნანა კემულარია.

მოლოცვები

„პრინცესა“ ლიზი

ჩემო საყვარელო, ჩემო მშვენიერო, გილოცავ დაბადების დღეს, ბედნიერი ბავშვობა და ბედნიერი დიდი დიდედობა გქონოდეს.

ბებო, ლიზი, შენ და ლუკა ჩემი სიცოცხლე ხართ, მანჩო და ირაკლისთან ერთად.

ჩემო სიხარულო! დღეგრძელი და ბედნიერები იყავი დედიკო და მამიკოსთან და ლუკასთან ერთად. ლიზი, თქვენ ჩემი იმედი ხართ!

გკოცნით შენი

მაყვალა ბებო და დედულეთი.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:

დირექტორის მაგიერ, თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.

რედაქტორი–მანანა შულაია.

ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.

კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.